გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 97

2025 წლის 8 აგვისტო

ქ. გორი

ქ. გორში, ზურაბ ანტონოვის ქუჩაზე, დიმიტრი ამილახვარის ქუჩიდან პეტრე ბაგრატიონის ქუჩამდე მონაკვეთზე ცალმხრივი საავტომობილო მოძრაობის განსაზღვრისა და შესაბამისი საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ქალაქ გორში, დიმიტრი ამილახვარის, ზურაბ ანტონოვის და პეტრე ბაგრატიონის ქუჩების მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, რომლითაც, უსაფთხო გადაადგილების და მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით, მოთხოვნილია ზურაბ ანტონოვის ქუჩაზე საავტომობილო ორმხრივ მოძრაობის გადაკეთება ცალმხრივ მოძრაობად. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და შეადგინა ზურაბ ანტონოვის და მის მიმდებარე ქუჩების საავტომობილო მოძრაობის სქემა, რომელიც შეთანხმებული იქნა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. გორში, ზურაბ ანტონოვის ქუჩაზე, დიმიტრი ამილახვარის ქუჩიდან პეტრე ბაგრატიონის ქუჩამდე მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა განისაზღვროს ცალმხრივად და ზემოაღნიშნული საავტომობილო მოძრაობის სქემის შესაბამისად განთავსდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები: 2.1 „მთავარი გზა“, 2.3 „დაუთმე გზა“, 3.1 „შესვლა აკრძალულია“, 4.1.2 „მოძრაობა მარჯვნივ“, 4.1.3 „მოძრაობა მარცხნივ“, 4.1.4 „მოძრაობა პირდაპირ ან მარჯვნივ“, 4.1.5 „მოძრაობა პირდაპირ ან მარცხნივ“, 4.1.6 „მოძრაობა მარცხნივ ან მარჯვნივ“ და 5.5 „ცალმხრივმოძრაობიანი გზა“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს, მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, ზურაბ ანტონოვის ქუჩაზე, დიმიტრი ამილახვარის ქუჩიდან პეტრე ბაგრატიონის ქუჩამდე მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა განისაზღვროს ცალმხრივად და საავტომობილო მოძრაობის სქემის შესაბამისად განთავსდეს მითითებული საგზაო ნიშნები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. გორში, ზურაბ ანტონოვის ქუჩაზე, დიმიტრი ამილახვარის ქუჩიდან პეტრე ბაგრატიონის ქუჩამდე მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა განისაზღვროს ცალმხრივად და თანდართული საავტომობილო მოძრაობის სქემის შესაბამისად განთავსდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები:

ა) 2.1 „მთავარი გზა“;

ბ) 2.3 „დაუთმე გზა“;

გ) 3.1 „შესვლა აკრძალულია“;

დ) 4.1.2 „მოძრაობა მარჯვნივ“;

ე) 4.1.3 „მოძრაობა მარცხნივ“;

ვ) 4.1.4 „მოძრაობა პირდაპირ ან მარჯვნივ“;

ზ) 4.1.5 „მოძრაობა პირდაპირ ან მარცხნივ“;

თ) 4.1.6 „მოძრაობა მარცხნივ ან მარჯვნივ“;

ი) 5.5 „ცალმხრივმოძრაობიანი გზა“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე


2.3 - დაუთმე გზა
4.1.3 - მოძრაობა მარცხნივ
4.1.5 - მოძრაობა მირდაპირ ან მარცხნივ
3.1 - შესვლა აკრძალულია მეორე მხრიდან
2.3 - დაუთმე გზა
4.1.2 - მოძრაობა
მარჯვნივ
2.1- მთავარი გზა
4.1.2 - მოძრაობა
მარჯვნივ
2.1 - მთავარი გზა
4.1.4 - მოძრაობა პირდაპირ ან
მარჯვნივ
5.5 - ცალმხრივ მოძრაობიანი გზა
2.3 - დაუთმე გზა
4.1.2 - მოძრაობა
მარჯვნივ
2.1 - მთავარი გზა
4.1.5 - მოძრაობა პირდაპირ ან
მარცხნივ
3.1 - შესვლა აკრძალულია
(მეორე მხრიდან
5.5 - ცალმხრივ
მოძრაობიანი გზა
2.1 - მთავარი გზა
3.1 - შესვლა
აკრძალულია (მეორე
მხრიდან)
2.3 - დაუთმე გზა
4.1.4 - მოძრაობა
პირდაპირ ან მარჯვნივ
2.3 - დაუთმე გზა
4.1.5 -მოძრაობა
პირდაპირ ან მარცხნივ
2.1 - მთავარი გზა
4.1.6 – მოძრაობა
მარჯვნივ ან მარცხნივ
დიმიტრი ამილახვარის ქუჩა
ამილახვარის ქუჩა
ანტონოვის ქუჩა
ბაგრატიონის ქუჩა
პეტრე ბაგრატიონის ქუჩა
გობა ბურტანიძეს ქუჩა
NAPR